

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“

ფრაქციის სხდომის

ოქმი N 1

ქ.თელავი

15. 02. 2019 წ

სხდომას ესწრებოდნენ :

ფრაქციის თავმჯდომარე არჩილ თვალაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ გრემელაშვილი, სხდომის მდივანი : იოსებ პარწიკანაშვილი .

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვა: არჩილ თვალაშვილი - მიუხედავად იმის რომ საკრებულოში არსებობს რეგლამენტი რითაც წარმომადგენლობითი ორგანო ვხელმძღვანელობთ. მოითხოვს გარკვეულ ცვლილებებს და მის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. შესაბამისად რადგან ცვლილებები საკმაოდ ბევრია. მე მიმაჩნია რომ სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიამ სწორად იმსჯელა რეგლამენტის თავიდან მიღების შესახებ.

აზრი გამოთქვა : ი პარწიკანაშვილი დაეთანხმა თვალაშვილის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ რეგლამენტში არ იყო გათვალისწინებული, რიგი საკითხები. კერძოდ კი რეგლამენტში არ არის განსაზღვრული ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. რადგან თვითმმართველობის კოდექსში შევიდა ცვლილება და დაემატა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, აუცილებელია აღნიშნული ცვლილება აისახოს საკრებულოს რეგლამენტში.

აზრი გამოთქვა: მიხეილ გრემელაშვილი აღნიშნა, რომ არსებულ რეგლამენტის 36-ე მუხლიც კანონთან შეუსაბამოა. საკრებულოს წევრმა განმარტა, რომ მოქმედი რეგლამენტით ფრაქციას უფლება აქვს გამოთქვას მოსაზრება საკრებულოს მიერ ასარჩევ ან დასანიშნ კანდიდატურის თაობაზე. ვინაიდან



საკრებულო მოქმედი კანონმდებლობით, არ ნიშნავს თანამდებობის პირებს, შესაბამისად რეგლამენტიდან ამოღებულ უნდა იქნეს სიტყვა „დასანიშნ“. არჩილ თვალთშეშობილია განმარტა, რომ საკრებულო კანონის შესაბამისად ირჩევს და არ ნიშნავს თანამდებობის პირებს. შესაბამისად აღნიშნული ცვლილება შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს .

**გადაწყვეტის :**

ფრაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია რეგლამენტში აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინება და ამ ცვლილებების შესაბამისად ახალი რეგლამენტის მიღება

ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე  
არჩილ თვალთშეშობილი :

